

13-575

4



საქართველოს სსრ მიცნობირებათა აკადემია

ს. ჭავაშვილ სახის. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი



6060 ღოღოგენიპი

ქართული სალური ღეღოფალების
კატალოგი

K 13. 545
4

სკემ-2000
გვართებულება



სამოცველობა „მიცნობირა“

თბილისი

1968



688.7 (C.922) + 902.4 (e) (= 89862.1) + 069: 688.7 (C.922)
 902.7 + [069:688.721] (47.922)
 ღ 838

1) საქართველოს ეთნოგრაფიული
 2) ლილობე



კატალოგი ასახვის ს. განაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ფონდში დაცულ ცველა ქართულ დედოფლას. ეს კოლექცია შედგება კავკასიის მუზეუმის ფონდებიდან გაღმისული, სხვადასხვა პირთაგან შეძენილ თუ შემოწირულ და საქართველოს მუზეუმის ექსპლოირა მიერ მომოვებულ დედოფლების საგნი.

კატალოგს წინ უძვის ნაჩვევა, რომელშიც მოყლედ განხილულია ისეთი საკითხები, როგორიცაა საომაშო-დედოფლების წარმოშობა და განვითარება (საერთოდ და, კერძოდ, საქართველოში), აღმზრდელობითი დანაშრულება, მისი კავშირი მეურნეობასთან და კოფასთან და სხვა.

კატალოგი, გარდა ეთნოგრაფიის, მიმდევრობის პედაგოგიკის, ხელოვნებათმცოდნეობის, არქეოლოგიისა და კულტურის ისტორიის სხვა დარგთა სპეციალისტების, იგრეთვე ფართო მკონველთა ყურადღებას.

შესავალი

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ფონდებში, სხვა მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან კოლექციებთან ერთად, დაცულია ხალხური დედოფალების კოლექციაც. მასში მრავლადაა თავმოყრილი: ქართული, დაღესტნური (ამ ქვეყნის თითქმის ყველა კუთხის), აზერბაიჯანული, სომხური, ბერძნული და სხვა, კავკასიონური მომდინარე დედოფალები, რომელთა შეგროვება ჯერ კიდევ კავკასიის მუზეუმში დაწყებულა.

ვიდრე ჩვენი მუზეუმის ქართული დედოფალების აღწერას შევულგებოდეთ, ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას საერთოდ ამ სათამაშოთა, როგორც ეთნოგრაფიული მასალის, შესახებ.

კაცობრიობის კულტურის ისტორიკოსები მრავალ სხვადასხვა მოვლენასა თუ საგანს იყვალეს. ერთი შეხედვით ეგვიპტური გამოჩენდეს, მაგრამ ამ მხრივ სხვებზე ნაკლებ ყურადსაღები როდია გართობისა და სათამაშოთა ისტორიაც. ისინი განუყრელი თანამდებობით არიან მოზარდი თაობის ფრინველი წვრთნისა და სულიერი ცხოვრებისა. ხალხის ყოფის მრავალი დამახასიათებელი მომენტი დაუყოვნებლივ ისახება ხოლმე ბავშვთა თამაშშიც. ამის გმირ გვირ-ბიჭების გართობა პატარა სარკესავით აირეკლავს სათანადო ქვეყნისა თუ კუთხის წეს-ჩვეულებას, სარწმუნოებრივ წარმოდგენას, ნივთიერ კულტურას, ჩატარ-დახურვას და ა. შ.

მრავალრიცხოვანი სათამაშოებიდან დედოფალა მსოფლიოს ყველა კუთხეში უსაუცარლესია გოგონებისათვის. ქანებრივია, რომ ამ მხრივ არც ქართველი გოგონები ჩამორჩებიან სხვებს. საქართველოშიც, ბარში იქნება თუ მთაში, პატარა გოგო ყველგან დასტრიალებს თავის დედოფალას, ექცევა მას როგორც „ღვიძლ“ შვილს: მისი საშუალებით იწყებს შესვლას ნამდვილ ქალური ცხოვრების სფეროში და თავისი მომავალი გარდაუფალი მოვალეობის პირველად აღქმისა და ათვისებას, სათანადო ჩვევების შემუშავებას. ეს კი ხელს უწყობს მასში დედობრივი გრძნობის გაღვიძებასა და გაღვივებას. ამასობაში იგი ფხილად აღვენებს თვალყურს თავისი დედის ყველ მოქმედებას და დედოფალას მიმართ იმეორებს მას. უფრო მეტიც შეიძლება ითქვას: არის შემთხვევები, როდესაც გათხოვილ ქალს თან მიაქვს სათამაშო დედოფალები და ქმრის ოჯახშიც ერთობა მათი მოვლით, სანამ ნამდვილი შეიღლი გაუჩნდებოდეს. ამრიგად, დედოფალა და მისით თამაში საოჯახო ყოფას საქმიად ჰედმი-წევნით წარმოგვისახავს.

ადამიანთა მიმსგავსებით გაკეთებული დედოფალები უხსოვარი დროიდან არსებულან. ამას ის გვიმტკიცებს, რომ ასეთი პატარა ქანდაკებანი გვხვდება ქველ სამარხებში ჩაყოლებულ ნივთებს შორისაც და ჭურჭლისა თუ სხვა საგანთა მოხატულობაშიც. კულტურის ისტორიკოსთა აზრით, ეს პატარა ქანდა-

კებანი მაშინდელი, უძველესი რელიგიური აზროვნების შესაბამის, თაყვანის უმის მრავალიტოვან მოიცემებს გამოხატავდნენ.

დროთა ვითარებაში თანდათან შეიცვალა, დაიხვეწა უოფაცე ჭირებულები ბაცა და რელიგიური აზროვნებაც და სხენებულმა ქანდაკებულიც — ჩრდილოებულ დაქარგეს საკულტო ფუნქცია. მას მოპევა აღამიანის გამოსახულების პირველდაწყებითი დანიშნულების მიხრდილვა და თანდათანობით სათამაშოდ ქცევა. მაგრამ თან მას არც ძირეული დანიშნულება ღაუყარგაეს: ძალიან დიდნანს, სულ ბოლო დრომდე აღამიანის გამოსახულება მაგიურ საშუალებადაც რჩებოდა.

საქართველოში წარმოებული არქეოლოგიური თხრისას აღმოჩენილმა სამარხეულმა ინენტარმა ზოგან მოგვერა სხვადასხვაგვარი სათამაშოები. რაც შეეხება საკუთრივ აღამიანისმაგვარ დედოფალებს, ინი ჩენში ჯერ არსად არიან გამოვლენილი, მაგრამ მაინც არ შეიძლება არ აღინიშნოს მათა საკულტო-რი-რიტუალური „წინაპრები“ — ისეთები, როგორიცაა თიხისაგან ტლანქად. გამოძრებული აღამიანის, ზოგჯერ ქალის გამოსახულება ახალციხის „ამირანის გორისა“¹ და ურბნისის „ქვაცელების“ აღრეული ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარებში²; აღამიანთა ბრინჯაოსგან სხმული ქანდაკებანი სტეფანწმინდის ანუ ყაბებების განძში (აღრეული რეინის ხანა)³; რეინის „კაცუნა“ ეანში (აღრეანტი-კური ხანა)⁴ და სხვ.

როგორც უკვე აღნიშნეთ, გარკვეული ტიპის დედოფალებს მრავალი საუკუნის მანძილზე იყენებდნენ მაგიური წერ-ჩვეულების შესრულებისას. საქართველოს ეთნოგრაფიულ გაღმონაშოურ სინამდვილეშიც ზოგან ასეთ გამოსახულებას შეიღიანბადა და გამრავლებას შესთხოვდნენ. ასეთი იყო, მაგალითად, სოფ. ფხელშეში არსებული „ქალების ხატი“, რომელიც დედოფალს წარმოადგენდა და შემოსილი იყო თეთრი ტანისამოსით, მძიებით, ჟულსაბამით, საყურებებით, ბეჭდებითა და სხვ.⁵ აგრეთვე შეგვიძლია დავისახელოთ 1949 წელს ქართლის ექსპედიციის მიერ ჩამოტანილი „ღვთაება ბარბალე“, რომელიც წარმოადგებს ხის ჯვარს, დამშვენებულს სანთლის რგოლებით, შერქნისაგან გამოკვეთილი ჯერებითა და ლითონის ცულებით. მას თან ახლავს პატარა დედოფალაც (ტაბ. I, სურ. 1). სავევე სანტერქსორა თვით სოფ. ქორქში „წ. ბარბალეს“ კელესიისათვის შეწირული, პატარა, სათამაშო აქვანში ჩაწერილი დედოფალა (№ 171—65/1). ეს წესი კიდევ ერთხელ აღასტურებს „რწმენას ბარბარეს შესახებ, როგორც სხვადასხვა სენისაგან მკურნალ და ავადმყოფების მფარველ და დამცველ წმინდანზე“⁶. აღსანიშნავია, რომ ღვთაებას ზოგჯერ სწირავდნენ მარტო აქვანს. არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ამავე მიწნითა შეწირული ტარასი ნიერაძის მიერ თავისუფალი სევანეთიდან 1910 წელს ჩამოტანილ აკვებში ჩაწერილი დედოფალები (ტაბ. I, სურ. 2), თუმცა ჩენი მოხუცი მთხრობელებიდან ეს წესი არავის დაუმოწმებია. დედოფალს

1 ტ. ჩ. ბ. ბ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., ამირანის გორა, თბ., 1963, ტაბ. XI, 1, 4; VI, 2 (გარეკანზედაც).

2 ალ. ჭავახი შ. ვ. ი. ლ. დ. ლ. ი. ტ. ი., ურბნისი, 1, თბ., 1962, ტაბ. XXIV; XXVI, 1.

3 ვ. ა. მ. რ. ბ. ნ. შ. ვ. ი. ლ. ი., ქართველი ხელოვნების ისტორია, I, თბ., 1944, ტაბ. 10, 11, 13, 34.

4 საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959, ტაბ. XXXIII, 3.

5 ს. მ. გ. კ. ლ. თ. თ. ხ., ხევა, 1934, გვ. 212, 213.

6 ვ. ბ. ა. რ. დ. ა. ვ. ე. ლ. ი. კ. კ. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბაბარ), 1941, გვ. 2, 51, 52.

სნეულებისაგან განკურნებას შესთხოვდნენ ხევშიაც: იქ გავრცელებული ყოფილებას შაული ქალების ხატია (გაზაფხულზე, ღოლის დროს), როტესაც ზის-გან გმოვევეთილ ქალის გმოსახულებას — ჰიქის თვლებით, საუკრძალებელი თა და ტანსაცმლით შემოსილ ხატს — კარდაკის დატარებდნენ და საღილე და საფულე კურჭლებში შეწირულ სამკაულსა და ფულს აგრძელდნენ. ხატს რამდენიმე განსხვავებული სახელწოდება აქვს: „მრიამი“, „ქაშეთი“, „ქაშეთის შე. გორგი“, „ამეშამენი“, „წილის ხატი“ და სხვა. შესაბამისად სხვადასხვაა ღოფებას შაულის სახელწოდებაც. ის ხატი კანის დაუკადების განკურნებადაც მოინახა.

ხევშივე, სოფ. გარბანში ყველიერის დროს ბავშვები თავისი გაკეთებული დედოფალებითურთ კარტავარ ჩამოიცლიდნენ ხოლმე, მოსთხოვდნენ მოსახლეობას სურსათს და თან მღეროდნენ:

„ଅମ୍ବେନ୍ଟ, ଅମ୍ବେନ୍ଟିଲାର, ଫର୍ମେଲାର, ଫର୍ମେଲାରିକ,
ଲେପ୍ରେଟାର, ବେଲୋ ମିନ୍ଦରିଟ୍ରେ, କ୍ରେଟର-ମିଣ୍ଡପ୍ରେସ୍ ଗାର୍ଜେଟ ଗାର୍ଜୁଲ୍ସାର,
ଏରିଆର୍ମା ଓ ଡାକଶିଖ୍ରୀ ହୁ ଉପକାରୀ“।

შემდეგ მივიღოდნენ ერთ-ერთ ამორჩეულ ადგილას და ლხინს გამართავ-ონენ.

ზოგან დედოფალას შესთხოვდნენ მაზარალებელი გვალვის ღრის წვიმის მოყვანის. ამ უკანასკნელი მიზნით გამოყენებულ დედოფალას საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ერქვა „ლაზარე“ ან „გონჯა“, თუშეთში — „საწიმარი გეგა“, აფხაზეთში — „ძივოუ“ და ა. შ. ასეთ დედოფალას იშვიათად თიხისაგან აყეთებდნენ, უფრო კი ჭოს ან ნიჩაბს პატარაძლის ტანსაცმლით შემოსავდნენ ხოლმე. რამდენიმე ქალი იმ დედოფალას თანხლებით, ზოგჯერ ბავშვებთან ერთად, სოფელს კარდავარ ჩამოივლიდა და წარტკეამდა თუ დამლერებდა სათანადო ტექსტს, რომელიც შეიცავდა ვეძრებას ლეთისადმი წვიმის მოყვანისათვის, პირიტით, გადაღების შესახებ. მოუხდავად იმისა, რომ დედოფალას გასაკეთებლად მასალაც სხვადასხვა ადგილას სხვადასხვანაირი იყო და თვით გალობას ტექსტიც რამდენადმე ცვალებადი, ამ ქმედებაში ყველგან ერთნაირად მაგისტრი ძალა ენტებოდა „ლაზარე“-დედოფალას. ეს არის ერთ-ერთი მაგალითი იმ ძველი წარმართული ჩატვენისა, რომლის მიხედვითაც ასეთი ცერემონიალით შეიძლებოდა ბუნების ძალების გამგებელ ლეთაებათა გულის მონადრება და ადამიანისათვის სასურველი ამინდის გამოთხვენა.

რაჭიში ბზობის კვირას იმართებოდა ბავშვების მსელელობა, რომელსაც „დეღოფლობანა“ ეწოდებოდა. ერთ-ერთ ბავშვს ხელში ეჭირა დედოფალა, ბავშვები სიმღერით ჩამოიგლიდნენ მეზობლის სახლ-კარს, დალოცავდნენ მათ და სამაგიეროდ მიიღებდნენ კვერცხებს, რომელთაც ინაშილებდნენ ისე, რომ არ ივიშყობონენ ტერორალას, უფრო სწორად — მის პატირონს⁸.

დედოფალების ერთ გვეფს შეინდა სამეურნეო დანიშნულებაც ჰქონდა. ასეთი იყო, მაგ., ფრინველების შესაშინებლად და მათგან ხეხილისა თუ ბოსტნეულისა ან სხვა ნათესების დასაცავად დაღვმული ე. წ. „საფრთხოლი“, „საირთხობელო“²⁷. გარდა ამისა, ქართლში დამოშებულებაა „ბოსტნის სედოფალა“,

7 ს. ბელაკვერი, სევის 1958 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის ანგარიში, 1959,
ხალხური, 22-32.

⁸ Г. Джапаридзе, Народные праздники, обычай и поверья рачинцев, СМОМПК, вып. 21, отд. II, 1896, стр. 119.

⁹ ი. გ. ვ. ა. ხ. შ. ვ. ლ. ი., საქართველოს უკონიმისური ისტორია, ტ. II, გ. 117.

ხოლო კახეთში — „ბოსტნის კუკი“. მათ ბოსტნში თესვის მოთავების შემთხვევაში დგამდნენ და დიასახლისები ეცვეწებოდნენ ხოლო ნათესის მოვლა-პარტონიბას. ისინ მანამდე იღვნენ, სანამ, მაგ., ხავით თავს დაიცვევდაς ჟირქვა ჩამარი დააგდებდნენ ხოლო. ფშავში გავრცელებული იყო „ნათესების მუნიციპალიტეტის“ მელსაც მამაკაცურ ბუნებას მიაწერდნენ¹⁰. ქართლშივე იცოდნენ ე. წ. „სურალის დელიუალა“, რომელსაც აკეთებდნენ ზოგი სხვა ისეთი მთარული სენის დროსაც, როგორიცაა „ბატონები“, „ყივიანახველა“ და სხვა. გადაჯვარედინებულ ჯოხებზე დაკერებდნენ ღილაკის რომელსაც გადააკრავდნენ თეთრ ქსოვილს; ზედ შავი ძაფით ამოქარებულ ჯოხები ჩაუდებდნენ შაქარს და დელიუალს გადაისროვნენ შორს. ამრიგად „გაისტუმრებდნენ“ ხოლმე აკადმიურობას.

ეს რამდენიმე მაგალითიც უნდა ცხადყოფდეს, რომ ადამიადის გამოსახულება — დელიუალს დიდხანს შემოჩენია მაგიური დანიშნულება და მხოლოდ სულ ახლახან შემოფარგლულა მისი გამოყენების სფერო მარტოოდნ გასახოთობი, სათამაშო დანიშნულებთ.

დელიუალების ზემოხამოთელილ სახეობათა ნიმუშები საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიული განკოფილების ფონდში, სამწუხაროდ, ცოტა მოგვეპოვება: გარდა თიხის ძევლი „ლაზარესი“ (№ 23—32/1), არის კიდევ ერთი „ლაზარე“, რომელიც ჩვენ გავაკეთებინეთ მთხრობელს სონა თავის 1959 წელს (ტაბ. II, სურ. 1), კახეთის ეთნოგრაფიულ ექსპედიციაში მონაწილეობისას. ამასთანავე, თვით მთხრობლის თქმით, მის მიერ გაკეთებულ „ლაზარეში“ ზოგი რამ ზუსტად დაცული ერ არის. ბოლო ხანებში ხევის სოფ. არშადანაც მივიღეთ ერთი დელიუალა — „ბერია“ (ტაბ. II, სურ. 2).

ახლა დაგუბრუნდეთ ძევე ნამდვილ სათამაშო დელიუალებს. ბავშვის ცხოველი ფანტაზია და გონებამახვილობა საქმარისა ჰყოფს ერთ-ორ ხაზს იმის სათვის, რომ წარმოიდგინოს სასურველი საგნი. ყველა ქვეყნის გოვონებს შეუძლიათ „სული ჩაუდგან“ და საყვარელ დელიუალებად აქციონ თვით უბრალო ნაფორი, ოღონდ კი ერთ ბოლოში ძონდი მოახვიონ და „სახე“ გაუკეთონ. საერთოდაც ხომ საქონია „სათამაშოს ფიქტოლოგია“: ბავშვის გონებაში სათანადო იღუზის აღძრის ჰყოფნის მცირე მიმსგავსება და სქემატური ასახვაც კი; სრულიად არა საჭირო დიდი მოთხოვნილების წაეყნება შესარჩევი მასალისაღმი; სიმინდის ფუქეჩი, ორეპარა ჯოხი თუ ფანქარი (ტაბ. III, სურ. 1) სულ სხვადასხვა, ერთანერთს ზაკილებული კუთხების გოვონათა ხელში ერთნაირი სიადგილით იქცევა ხოლმე ძალიან საყვარელ დელიუალებად. საქართველოს მთან მხარეებში, მეტადრე ფშავ-ხევსურეთში, ძალშე გავრცელებულია დელიუალს კეთება მცენარეული მასალისაგან (სხამის ფოთოლი, „საგუგუსტოს“ ფურთოლი, ბერია და სხვა — ტაბ. III, სურ. 2, 3) და მასალის ასეთი სიმწირე სრულიადაც ერ ანელებს სიყვარულს დელიუალებადმი: ხევსური გოგონა მაინც მთელი გრძნობით დასტრიალებს თავს ასეთს, მისთვის უსაყვარლეს სათამაშოს, რომლისთვისაც მას შერქმეულა აქვა: ზედმიწევნით შესაფერისი სახელი: „შვილია“. გაზაფხულზე დელიუალს აკეთებენ ყაყაჩობისა და მინდვრის სხვა ყვავილებისაგანაც.

დელიუალს ტანის გასაკეთებლად მეტწილად ხმარობდნენ და ამეამდაც ხმარობენ: ჯოხს (იხ. მაგ., ფშავ-ხევსურეთში, 1963, გვ. 39).

რა, ტაბ. XVIII, სურ. 1; ტაბ. XVIII, სურ. 2; მოხეური, ტაბ. IV, სურ. 1; ტაბ. IV, სურ. 14 და ტაბ. III, სურ. 4ა და მრავალი სხვა); ჩინიშვილი, ტაბ. IV, სურ. 12; ტაბ. III, სურ. 4ა და სხვა); ფიცრის ნაკერს წმინდა № 29—63/16; № 29—63/17; № 29—63/18 და სხვა). საქმიანდ ხშირად ტაბს აკო-
თებდნენ ქსოვილისაგანაც (მაგ., ხევსურული, № 29—63/30 და № 29—63/33;
ქართლური, ტაბ. XXI, სურ. 1; კაზური, ტაბ. XXVIII, სურ. 2 და სხვა), ან
მატყლით შეაცსებდნენ ხოლმე (ტაბ. IV, სურ. 2). დედოფალა, თუკი იგი შეკე-
რილია ყოველთვის ხელით არის ნაკრი. ერთადერთ გამონაკლისს ჩვენს კო-
ლექციაში წარმოადგენს მანქანით შეკერილი ორი დედოფალა, გაკეთებული
1966 წელს თბილისელი ხნიერი ინტულაგენტი მანდილოსნის მიერ (ტაბ. X,
სურ. 1, 2).

როგორც აღვნიშნეთ, მთაში ძალშე გავრცელებული ჩანს დედოფალების
კეთება ნედლი მცენარეული მასალისაგან. თიხისაგან იშვიათად თუ გამოიძერ-
წავენ, ისიც სახელდახელოდ, და ამგვარი დედოფალს არსებობა იმდენად ხან-
მოკლეა, რომ ის თითქმის არცა ჩამოარიცა გოგონების სათამაშოთა კრებულში. ჩაც
შეეხება ცომის დედოფალებს, მათ ძალიან შვიათად იყენებენ სათამაშოდ: ისი-
ნი უფრო რიტუალურ დანიშნულებას ასრულებენ ბოლმე.

დედოფალების გასაკეთებლად მცენარეულ მასალებს შორის ძეველ საქარ-
თველში შეგვიძლია ვიგულისხმოთ აგრეთვე გოგრა ანუ კვაბი იმ ხართაუ-
ლი ცნობის მიხედვით, რომელიც დაცულია შუა საუკუნეთა მმების შესახებ
სომხურ წერილობით წყაროებში — სახელდობრ, ბიზანტიილთა და ხაზართა
ლაშქრის მიერ აპილისის ცახის გარემოცვის შესახებ მოთხრობაში: მეციინოვ-
ნეებმა მტრებს დაანახეს ხაზარების მმრდანებლის კარიფატურული გამოსახუ-
ლება, რომელსაც თავი გოგრისაგან ჰქონდა გაკეთებულიო¹¹.

ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, დედოფალს „ჩინჩის“ ან,
უკეთ, ტანი კეთდება ან ერთი სწორი ჭოხისაგან, რომელზედაც სიმრგვალე-
მოყვანილობის მისაცემად ხშირად ქსოვილს დაახვევენ ხოლმე (მაგ., თუშური,
ტაბ. V, სურ. 1; კაზური, ტაბ. XXVIII, სურ. 1; მოხეური, ტაბ. IV, სურ. 1;
მესტური, ტაბ. VII, სურ. 3; ფშავური, ტაბ. VI, სურ. 2; ხევსურული, ტაბ. VII,
სურ. 1 და სხვა), ან ორი დიდ-პატარა, გადაჯვარედინებული ჭოხისაგან, რომელ-
თაგან მოკლე მთავარ ჭოხშეა გარდიგარდმო მიმაგრიბული და ხელების მავივ-
რობას ეწევა (ფშავური დედოფალა, ტაბ. XXXII, სურ. 1; აჭარული, ტაბ. VI,
სურ. 4; თუშური, ტაბ. VII, სურ. 2; ხევსურული, ტაბ. VII, სურ. 4; თუშური,
ტაბ. VI, სურ. 5; თუშური, ტაბ. VI, სურ. 3 და სხვა). ზოგჯერ კი მხოლოდ ქსო-
ვილია რამდენიმე ფენად ისეთნაირად დაკეცილი, რომ ტანის მოყვანილობა
ენიჭება (ხევსურული, ტაბ. XXIX, სურ. 2 და ტაბ. XXX, სურ. 1, 2), ან ქსოვი-
ლი თუ ქალალდია ბრტყლად დაკეცილი, ან პატარ-პატარა ნაჭრებისაგან არის
შედგენილი (კახური, ტაბ. XXVIII, სურ 3; მოხეური, ტაბ. IV, სურ. 1 და სხვ.).

თუ გამეოთებელი განიზრახავს ტანის ნაკვთების ხაზეასმით წარმოჩენას,
სამისული იგი იყენებს მატყლს. ასეთ დედოფალებში უკვე ჩანს სურვილი ადა-
მიანის სხეულის ქანდაკვანი და არასქემატური გამოსახვისა. ეს განსაკუთრე-
ბით ითქმის კახურ დედოფალებშე, რომლებშიც ტანის ნაკვთები საგანგებოდაა
გამოყვანილი (მაგ., „ძონძი-კუკები“, ტაბ. VIII, სურ. 1, 2 და სხვა).

11 ვ. ნალ ბან დან რ. თბილისი ძეველ სომხურ მწერლობაში, თბ., 1959, გვ. 40 (VII
საუკუნის ისტორიულის მოსე კალანკატურელის ცნობა სომხური წიგნიდან „ალვანთა ქვეყნის
ისტორია“, ტფ., 1912, გვ. 158—159).

ყველაზე უფრო სშირად მაინც დედოფალას ტანი ჭობისა თუ კონგრესის გვარების შედგება და კვარელინია. ეს მასალა აღმართ ერთი უძველესთავაგანა დედოფალების კეთებაში, ხოლო გადაჯვარედიხება — ყველაზე იოლი სტრუქტურული სურველი მოყვანილობის მისანიჭებლად. ამიტომ იგი საქართველოს სუბკულტურა დასხვა კუთხის დედოფალებში გვხვდება (ტაბ. III, სურ. 43a). გადაჯვარედინების ფაქტს გარკვეული ასპექტით განიხილავს ვ. ბარდაველიძე, რომელიც სეანურ საწესო ხელოვნებაში ჭვრის გამოსახულებაზე მსჯელობისას დასტენს, რომ ჭვრის ყველა ქართველი ტომის ძველ ყოფში ხან უზრნაეს არსებას ვამოხატვას და ხან ბაკშების სათამაშო დედოფალად არის ქცეული¹².

ფეხები დედოფალას საქმაოდ იშვიათად უჩინს (ქართლური, ტაბ. XXI, სურ. 1; კახური, ტაბ. VIII, სურ. 1, 2; მოხეური, № 29—63/12 და № 29—63/16; იმერული, ტაბ. XXIII, სურ. 1; სვანური, ტაბ. V, სურ. 2 და სხვა), ზოგჯერ იმინი წარმოდგნილია ჭობის ორეპა ბოლოთი (ინგილოური, ტაბ. XXV, სურ. 1, და ტაბ. XI, სურ. 1; მოხეური, ტაბ. IV, სურ. 15). ფეხები ხშირად შემოსილია ან ჭრელი წინდებით, ან წულებით (ინგილოური, ტაბ. XI, სურ. 1; ხევსურული, ტაბ. XVI, სურ. 2 და სხვა).

ბიჭი-დედოფალები ფონდში შედარებით ნაკლებად გვაქვს და ბევრ მათვანს იორეპა ჭობი აქვს ფეხების მაგიერ (თუშური, ტაბ. XIX, სურ. 1; ქართლური, ტაბ. XXVI, სურ. 1; მოხეური, ტაბ. IX, სურ. 1, 2), ან მატყლის ფეხები აქვს მიბმული.

რაც ზეხება თავ-პირს, იგი ან ჭობის წვერზე დაბმულ, მატყლით გამოვსებულ ბრტყელ-მომრვალო ბურთს წარმოადგენს (ფშაური, ტაბ. XXXII, სურ. 1; თუშური, ტაბ. XIX, სურ. 1; ინგილოური, ტაბ. XXV, სურ. 1; კახური, ტაბ. VIII, სურ. 1, 2), ან ქსოვილშემოკერილს მრგვალსა და ბრტყელ ლილს თუ ლითონის ფულს (თუშური, ტაბ. XXIII, სურ. 1; ტაბ. XVIII, სურ. 2 და ტაბ. V, სურ. 1; ქართლური, ტაბ. XXVII, სურ. 2 და ტაბ. XXIV, სურ. 1; კახური, ტაბ. XXVII, სურ. 1; მოხეური, ტაბ. IV, სურ. 1). დედოფალის სახეს უკეთებდნენ ასედაც: აიღებდნენ ქსოვილის გრძელსა და წვრილ ნაჭერს და გრაგნილივით დაამაგრებდნენ ახლანდელი ორეპაინისონდენა ან მეტ ზომამდე. თუ ნაჭერი მოკლე ჰქონდათ, მაშინ მას მატყლზე ან ფოთოლზე დაახვევდნენ და კისერზე მიამაგრებდნენ ხოლმე, თან ცდილობდნენ მისთვის სახის ძოყვანილობა მიეცათ.

როგორც ზემოთაც აღნიშნეთ, დედოფალების დიდ უმეტესობას პირისახე გაკეთებული აქვთ ლითონის ფულის ან ლილისა და ზედ მცილობდ გადაკრული თეთრი ქსოვილისაგან, რომელიც ხშირად ჭვარედინად არის დაქარგული (კახური, ტაბ. XXVIII, სურ. 3; ჭავახური, ტაბ. III, სურ. 1; მოხეური, ტაბ. IV, სურ. 1, ტაბ. III, სურ. 4), ზოგჯერ მი ჭვრის აღმაცერად პეგითს მესამე ხაზიც (თუშური, ტაბ. XVIII, სურ. 2; ტაბ. XVIII, სურ. 1; ტაბ. XIX, სურ. 1; ქართლური, ტაბ. XXVI, სურ. 1 და ტაბ. XXIV, სურ. 1 და სხვა). ხანდახან ეს აა ხაზების სიხშირეს რომების სამკუთხედების ქსელის წარმოქმნაშეც მივყავით (მოხეური, ტაბ. IV, სურ. 13 და ტაბ. III, 43a).

12 ვ. ბარდაველიძე, ქართლური (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, 1953, გვ. 54.

სახის ძირითადი ნაკვეთი (ოვალური, ცხვირი, პირი) დაქარგულია შემდეგ და წითელი ძაფებით (ტაბ. XII, სურ. 1; ტაბ. V, სურ. 1; ტაბ. XXVII, სურ. 2; ტაბ. VIII, სურ. 1, 2; ტაბ. V, სურ. 2). გვხდება შავი ფანჯრით ან მურაშიში ზარული სახეებით, რაც ყველაზე უფრო გვიან შემოსული წესის მურაში უკავშირს (ტაბ. VI, სურ. 2; მოხეური, № 29—63/15) და სხვა.

მიუხედავად გამოყენებული ხერხების პრიმიტიულობისა და დიდი პირობითობისა, დედოფალს სახე მაინც ყოველთვის ქმნის აღამიანის პირისახის გარეველ იღუზისა.

რაც შეეხება ზემოაღნიშნულ ერთ ხერხს — სახის ჭვარედინად ამოქარევას, იგი ვარაუდით შეიძლება დაუკავშირდეს გაღმერუებულ მნათობთა, ასტრალურ ღვთაებათა სიმბოლოებს და, მაშესადამე, იმ ხანას, როდესაც დედოფალები საკულტო გამოსახულებას წარმოადგენდნენ. ასე მაგ., წრე (ძევე როგორც წრის ტექნიკური ტრანსფორმაცია, კვარდატი თუ რომბი) შეიძლება და ვუკავშიროთ მაგიური დანიშნულების გამოსახულებას, რომელიც გულისხმობს ცას, მზეს, გაომეროთებულ მნათობებს. რა თქმა უნდა, ხალხში ეს ოდარავის ეს-მის და რომ შეკეითხოთ სათამაშოს ავტორ ბავშვს, თუ რატომ ქარგიას ის სახეს მაინც დამაინც ჭვარედინი ხაზებით, ის ვერავითარ ახსნა-განმარტებას ვერ მოძებნის და გიასუხებთ, „იმიტომ ვერგავ, რომ სახე კარგი ჰქონდეს“¹³. მისი გაგებით, ეს ძაფები აღამიანის სახეს გაღმოსცემენ და ჭვარედინი ხაზების გადამკვეთრობით მოძინება მან შეიძლება წარბებადაც კი მიიჩნიოს.

ჩვენს ვარაუდს შეიძლება ძაციც ამაგრებდეს, რომ სახის ჭვარედინად ამოქარგვა განსაკუთრებით საქართველოს მთიან კუთხეებშია შემორჩენილი. მაგ., მოხევეები „კუკლის დაყაჭვება“¹⁴ რომ იტრავიან, სწორედ სახის ჭვარედინად დაქარგვას გულისხმობენ და ამას იქ იმდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რომ საქმიან ხშირად თვით დედოფალა ძალზე პრიმიტიული და ღარიბებულია შემოსილია, ან სულაც უბრალო ნაფოტს წარმოადგენ, მაგრამ სახე მაინც საგანგებოდ აქვს „დაყაჭული“ (მოხეური, ტაბ. III, სურ. 42a).

უფრო იშვიათად, მაგრამ მაინც გვხდება დაუქარგვად სახე, რომელზედაც რამე ქსოვილია გადაკრული (მთიულური, ტაბ. XX, სურ. 2; ინგილოური, ტაბ. XI, სურ. 1; ტაბ. XV, სურ. 1; ფშაური, ტაბ. XX XII, სურ. 1 და სხვ.).

საქმიან ხშირად დედოფალებს გაეკეთებული აქვთ თმა. საამისოდ გამოყენებულია ან ქალის ნამდვილი თმა (თუშური, ტაბ. XVIII, სურ. 2; ტაბ. XX, სურ. 1; ტაბ. XXVII, სურ. 2; მოხეური, ტაბ. XII, სურ. 1 და სხვა), ან მატყლი (მოხეური, ტაბ. IV, სურ. 1; № 29—63/10; № 30—63/11; თუშური, ტაბ. VI, სურ. 1), ან ძაფები (ფშაური, ტაბ. VI, სურ. 2), ან სიმინდის ფოჩი (თუშური, ტაბ. XII, სურ. 2; ტაბ. XV, სურ. 3), ზოგი დედოფალს თმა ძალზე პირობითად არის გამოხატული, მის მაგიერ ყავისფერი ან შავი ქსოვილია გადაკრული (კახური, ტაბ. VIII, სურ. 1, 2) და ა. შ. ბოლო დროს განინდა კაპრონის ძაფის ნაშალიც (თუშური, ტაბ. XV, სურ. 1) და მიშბაც (თუშური, ტაბ. XV, სურ. 2). ზოგჯერ დედოფალს თმის წყობითაც შეუძლია ცოტა რამეს თქმა სათანადო კუთხის მცხოვრებთა ყოფის შესახებ. ამ მხრივ ჩვენს ფონდში დაცული დედოფალებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა თუშური, რომლებშიც თვალნათლივ ჩანს, გარდა იმ კუთხისათვის დამახასიათებელი ჩატარებისა, ქალის-

13 ზგნ „დაყაჭვა“ (სხვაგან „დაყაჭვება“) ჩანს, მომდინარეობს ძარეშემის ქართული ხალხური, დასავლეთ საქართველოში ლესის ც შემორჩენილი სახელწოდებიდან „რაჭი“: ძარეშემის ძაფებით მოქარევა იგულისხმება.

ოჯახური მდგომარეობაც — იმის შესაბამისად, რომ გაუთხოვთი ქალი თმაზოთხ „კოწოლად“ (ნაწინავად) იწნავდა (ტაბ. XVIII, სურ. 2), გათხოვთილი კი „ორს კავად ჩამოუშვებდა, ორს — ნაწინავად“ (ტაბ. XVIII, სურ. 1! ტაბ. XX, სურ. 1). საინტერესოა ბოლობრიონდელი თმის გარცხნილობა, ჩამშელიც კარგად ჩანს ერთ თუშურ დელფინალში (ტაბ. XII, სურ. 2). არანაკლებ მნიშვნელოვანია დელფინის გარეგნული იერი და ჩაცმულობა, რაც ხშირად საკმიოდ თვალსაჩინოდ ასახავს ხოლმე სათანადო კუთხეების მოსახლეობის შესახედაობაზატულობას.

ეთნოგრაფიული ზონალობის თვალსაზრისით თუ მიღულგებით ჩვენს მასალას, შევამჩნევთ (და ეს მოსალოდნელიც იყო), რომ მთიანეთში დელფინალათა კეთებაშიც მეტ ხანს შეუნარჩუნებიათ ნამდვილი ხალხური ტრადიციები და იქ უფრო შემონახულა ძველებური ტიპის დელფინები, ხოლო ჭალაქთან ახლოს მყოფი და მის გავლენას დაქვემდებარებული სოფლებიდან მომდინარე დელფინებს უკვე ქალაქური, კვრობული „მოდური ჩაცმულობის“ დაღი აგრძოთ. ჩვენს ხელობ მყოფთაგან ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევენ თუშური დელფინები, რომელებშიც თვალნათლივ ჩანს, თავსაბურავ-სამკაულიან დაწყებული ფეხსამოსამდე, თუშური ხალხური ტანსაცმლისა და სამკაულის კველა დამახასიათებელი ელემენტი. კერძოდ, თავზე ყველას ახურაეს „კუტურა“, რომელიც იმ კუთხეში ჩინტის მაგიკობას ეწევა და მნიდილის დასამაგრებლაც იხმარება. მანდილიც, წესისამებრ, სამკუთხედია; ზემოთ ფართოლა გაშლილი და ცალი ყურით კოჭებამდე ეწევს. პერანგზე ჩამოცმულ „ფარაგის“ საცულე მეტწილად ხავერდისა ან მაულისა უკეთდებოდა და იგი შემკული იყო ხოლმე მმიებით, ძეწვებით, ვერცხლის ფულითა და ლილებით. დელფინალათა ჩაცმულობაში მეორებება ქალის „ჩოხა“ ანუ „ჭათიბიც“ და წინსაფარიც (ტაბ. XVIII, სურ. 2; ტაბ. XX, სურ. 1; ტაბ. V, სურ. 1). ასევე სრულდა წარმოდგენილი ხევსურული ჩოგი იქაურ დელფინებში. ნათელა ბალიაურის მიერ აღრე გაკეთებულ და მუზეუმის ფონდში აღლახან შემოსულ დელფინებში ერთი თვალის გადავლებითაც შეიცნობა ხევსურული „ტალავარის“ კველა ნაწილი („სათაურა“, „ფაფანაგი“ და სხვა. ტაბ. XXIX, სურ. 1; ტაბ. XVI, სურ. 2). მამაკაცის გამომხატველ დელფინალათა გამკეთებლებიც თითქოს ცდილობენ სისრულით წარმოადგინონ სათანადო კუთხის მცხოვრების ჩაცმულობა (თუშური, ტაბ. XIX, სურ. 1; რაჭული, ტაბ. XI, სურ. 2; ხევსურული, ტაბ. XVI, სურ. 2). ძეველი ჩაცმულობის ზედმიწევნით გაღმოცემის აშკარა ცდას გხედავთ აგრეთვე ინგილოურ დელფინებში: იქაურ „კიიოს“ (ტაბ. XXV, სურ. 1) ნაწინავები გადმოუყრია და თავზე მოხვეული იქცე ჭერ ლეჩქი, მერე კი ჭრელი ქსოვილის თავსაფარი, რომელიც რამდენჯერმე კისერზედაც არის შემოვლებული; ყულზე ჰეიდია მძიებების ორი ასხმია; ტანთ აცვია ჭრელი ზედატანი და ქვედატანი, სირმაშემოვლებული შარვალი; ფეხთ — ჭრელი წინდები; წელზე შებმული იქცე წინსაფარი. ყოველივე ეს ძალზე დამახასიათებელია ინგილო ქალისათვის და კიდევ უფრო უსევამს ხაზს მუსლიმური ყოფის გავლენას, რაც სავსებით მოსალოდნელი იყო და ცნობილიც არის საინგილოში.

რაც შეეხება დანარჩენ დელფინებს, ზოგის კაბა სარტყელ-გულისპირითა და დაშვენებული ცართულები დელფინები, ტაბ. XXIV, სურ. 1; ტაბ. XXVII, სურ. 2; ტაბ. X, სურ. 1). სხვა ქართულ დელფინათვაგან ზოგში უკვე იგრძნობა ეკრობული მოდის გავლენა, რაც კარგად ჩანს შემდეგ დელ-

ფალებში (ტაბ. XXIV, სურ. 1; ტაბ. XXVII, სურ. 2; ტაბ. XXI, სურ. 1; ტაბ. XXVIII, სურ. 1 და ა. შ.). მომდევნო ხანის დედოფალებში კი (განსაკუთრებით ჩვენ მიერ ექსპელიციების დროს, მოგროვილში) ხშირად იჩენს თაქც „ამჟამინდობა“ არსებული „მოდის“ გავლენა, ე. ი. ბავშვი თავის დედოფალს ჰქონდება „არსებული არსებული“, რასაც თვითონ ან მის ირგვლივ მყოფი ქალები იცვამენ. ეს შეეხება თითქმის ჯველა დედოფალას, ხევიდან იქნება იგი ჩამოტნილი, ხევსურეთიდან, ფშავიდან თუ თუშეთიდან. უფრო მეტიც: ეპთქის შესაბამისი ცვლილება თავს იჩენს თვით ქსოვილებშიც. მაგ., ამჟამად ხშირად გახვდება შტაცელისა და კაპრონის ქსოვილით შემოსილი დედოფალები და ესეც, რა თქმა უნდა, თანამედროვეობის გავლენაა. ამ მხრივ ძალიან ნიშანდობლივია, რომ, როდესაც 85 წლის ქალზა დედოფალა გააქცია, კაპრონითა და სხვა ხელოვნური ქსოვილის ნაჭრებით შემოსა იგი.

მოთამაშე გოგონები ყოველთვის უკეთებლენ და ანლაც უკეთებენ თავიანთ დედოფალებს „დგამსა“ და „მზითებსა“. ამ უკანასკნელში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს აკანს, რომელზედაც ხშირად არის ხოლო ჩამოკიდებული „ბაგშვის გასართობად“ სხვადასხვა ფერი მძიები, ხოლო „ავი თვალის წინააღმდეგ“ — „სათოლე მძივი“, „დვინჯილა“, „ღორის კბილი“, „თევზის ძვალი“ და სხვ. ჩვენს ექსპონატებს შორის არის აკვანში ჩაქრული დედოფალებიც — მაგ., ტარასი ნიუარაძის მიერ სვანეთიდან ჩამოტანილი (№ 50—40/84; ტაბ. 1, სურ. 2), ქართლის სოფ. ქორდის „ბარბალეს“ ეკლესიისათვის შეწირული აკვანში ჩაწერილი დედოფალა (№ 171—65/1). ბოლოდროინდელი, ლოგონში ჩაწერილი დედოფალები, თუშეთიდან ჩამოტანილი (№ 173—65/34; 173—65/37). მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს დედოფალას ლოგონსაც (ქვეშ-საგაბა, საბანსა და სხვა); რასაც განსაკუთრებით ყურადღებით ეკიდებიან თუში გოგონები, რომლებიც თვითონ უმშადებენ კველაფერს „შვილებს“ და ნაევილი მატყულის ლეიბებსა და საბნებს ატავენ ხოლო „მზითებად“.

ცალკე უნდა გამოიყოს მექანიკურად მოძრავი დედოფალები, რომლებიც ძველადაც სათამაშო დედოფალათა განსაკუთრებულ ჯგუფს შეადგენდნენ. სანამ ჩვენს ფონდში თავმოყრილი მოძრავი დედოფალების დახასიათებას შევუდგებოდეთ, ურიგო არ იქნება თუ გავიხსენებთ ცნობილი თეატრუმოდნის დ. ჯანელიძის მართებულ დაყვირვებას საქართველოში „კუკების თეატრის“ შესახებ. იგი დაწერილებით განიხილავს VII საუკუნეში ბიზანტიელი დამპყრობლების მიერ თბილისის ციხე-სიმაგრისათვის ალყას შემორტყმის მმბავს, რომელიც ზემოთ ჩვენც მოვიტანეთ და აცავდებს, რომ „...თბილისის მცხოვრებლებმა იწყეს თავიანთი დაღუპვის მიხევის საცინლად აგდება კვახის კუკების (თოჭინების) თამაშის მოწყობით“¹⁴. ამის მიხედვით მცვლევარი დაასკვნის, რომ შევე VII საუკუნეში არსებულა საქართველოში „კუკების თბიაში“. იმავე მცვლევრის მიერ დამოწმებული აცტორის, ს. ცაგარეიშვილის ცნობით, რევოლუციამდელ ქუთაისში არსებულა თოჭინების ხალხური თეატრი — ეტუობა, აცელი დროიდან შემორჩენილი¹⁵.

მოძრავი დედოფალები საქართველოს სხვა კუთხეებშიაც ყოფილა გავრცელებული. თუშეთში, კახეთში, სამეგრელოსა და ხევსურეთში კუკა-მარიონეტების თეატრის არსებობაც კი არის დამოწმებული.

¹⁴ დ. ჭანე ლიძე, ქართული თეატრის ხალხური საწყისები, 1948, გვ. 484.

¹⁵ ი. ვ. ვასაძე, 504.

მთიულეთ-გუდიაყარში, მსგავსად საქართველოს სხვა კუთხეებისა, გაცილებით უფრო ხშირი ყოფილი ხალხური სათამაშოები და მოძრავი დედოფალები, რომელსაც ხალხი „ძიძი-ქალებს“ უწოდებდა. სვანეთში მცხოვრილი პატარა გამობრუნველი და მის გამოწვევით ამოძრავებდნენ. ან მატული მცხოვრილი პატარა გამობრუნველი და მის გამოწვევით ამოძრავებდნენ დედოფალებს.

ძაღის მეშვეობით მოძრაობები ფონდში დაცული ორივენაირი დედოფალები, მთიულეთიდან (ტაბ. XX, სურ. 2) და სამეგრელოდან ჩამოტანილი (ტაბ. XXXI, სურ. 1), ხოლო ზონაზე მეშვეობით—ხევსურეთიდან ჩამოტანილი (ტაბ. XVII, სურ. 1; ფიცარზე წამოჭდარი მამაკაცი — თოვინა). წყვილი „ძიძი-ქალები“ ჩამოტანილი გუდამაყრიდან (ტაბ. XVII, სურ. 2; და ტაბ. XVII, სურ. 3). ამ სათამაშოების გამკეთებელს ლაღო ქავთარაძეს არც ძველი ტრადიციები და უციწყია და თან ახალი ყოფის ელემენტებიც საგრძნობლად შეუტანა მათში. მაგ, ვაჟს ჩინხასმაგვარი ტანისამოსი აცვია და თავზე კი საბჭოთა მფრინავის ქუდისმაგვარი რამ ახურავს, ხალათზე განიერი გარისეაცული ქამარი არტყია და ზედ კი სატევარი ჰეკიდა (ტაბ. XVII, სურ. 3); ზონრის მაღიმალ მოწევაზე ქალ-ვაჟი იწყებს წყვილად „ციკვას“, რაც, რასაცვირველია, უფრო მეტ შთაბეჭდილებას ახდენს, ვიღრე ცალ-ცალკე რომ აეთავსებინათ ისინი. შთაბეჭდილებას კიდევ უფრო ალიერებდა ჩინგურის ან უნდურის აკომპანიმენტი, რაც საკმაოდ გონიერამახვილურად ხდებოდა „ძიძი-ქალაზე“ გამობმულ კანაუს დამკველი გამოიბამდა მიჩვევენა ხელის თითქ და ფანდურს არმ დაუკრავდა, იმ ხელის მოძრაობით სათამაშოსაც ამოძრავებდა დაკვრის რიტმით.

თუ დაეცაბრუნდებით ისევ ჩევეულებრივ მარტივ სათამაშო დედოფალებს, იქაც შეგვიძლია დავინახოთ თეატრალური ქმედობის ზოგი ელემენტი.

არ შეიძლება არ აღინიშნოს დედოფალათა ნაირნაირი სახელწილება — სათანალო მდიდარი ტერმინოლოგია, აღნუსხული საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, რაც ხაგანგებო კვლევის ღირსია და ბევრ ისეთ მომენტს შეიცავს, რომელთაც, ერთი მხრივ, კულტურულ-ისტორიული და ლინგვისტური ინტერესები ახლავს, მეორე მხრივ კი მეზობელ თუ შორეულ ერებთან ნათესაობისა და ძევლისძეველი მრავალმხრივი ურთიერთობის გაყვლებისა. აქ ამ საკვლევ საკითხს ვერ გამოვეყიდებით და მხოლოდ ჩამოვთვლით ყველაზე უფრო გავრცელებულ სახელებს: „დედოფალა“, „ტიყინა“, „გუგა“, „კუნა“, „კუკი“, „ძინძი-კუკი“, „კიკო“, „თოვინა“, „თოვა ბეჭი“, „თოვა გოგო“, „შევილიკა“ ანუ „შევილუკა“, „ძიძი-ქალა“, „დალ“, „მომპარდალ“, „ბაითაყვა“ და სხვ. ახლავე ხანგაძასმელია დედოფალათა ორივე სვანურ სახელწილებაში შემორჩენილი „დალ“ — იქაური ნაირნაირის ქალმერთის სახელი. ეს ერთი მტკიცე მოწმობაა იმისა, რომ დედოფალები თავდაპირველად, მართლაც, ღვთაებათა გამოსახულებას წარმოადგენდნენ.

წინამდებარე კატალოგი შეიცავს ფონდში დაცული ქართული დედოფალების აღწერილობას. ზოგი მითგანი ჭერ კიდევ ყოფილი კავკასიის მუშეუმის სათანალო განყოფილებაშია შემოსული. ასეთებია: მწერალ-ეთნოგრაფის თედო სახოვია მიერ 1908 წელს მუშეუმის დაკვეთით სამეგრელოდან ჩამოტანილი; კავკასიის მუშეუმის დირექტორის ა. კაზნეკოვის მიერ ატენის ხეობიდან 1910 წელს ჩამოტანილი; ტარასი ნიკარაძის მიერ 1910 წელს სვანეთში შეგროვილი და იმავე წელს მუშეუმში ჩამოტანილი; 1913 წელს ე. ჯანდიერის (კახეთი, სოფ. არტანი) მიერ შემოწირული დედოფალები და მის მიერვე 1914 წელს შემო-

წირული თეშური დედოფალები; კაიშაურის მიერ შემოწირული გუდამყრული „ორსული ძიძი-ქალა“; 1916 წელს ზეშემანის შემოწიოული ატენური დედოფალები; ჩურსინის მიერ კახეთის სოფ. მაშნარიდან ჩამოტანილი „თიკინი“, და ასე სხვ. მას შემდეგ დიდი ხნით წყდება ასეთ სათამაშოთა შემოსელა, უძრავი ფონდში, თუ არ ჩავთვლით ზოგიერთ გაურკვეველ დედოფალის, რომლებსაც ეტიკეტი აღარ მოეპოვებათ, მაგრამ ჩატულობითა და იერით ძველ კოლექციას მოვავონებენ.

საბოთა ხანაში ეთნოგრაფიული ექსპედიციების ინტენსიურმა მუშაობამ კვლავ შემატა დედოფალები ამ კოლექციის. საფონდო წიგნებს თუ გადავხედავთ, აშკარად შემიჩნევა ზოგიერთი ექსპედიციის ძალშე ნაყოფიერი შემგროვებლობითი მეშაობა. ამასთანავე იმატა ქართული დედოფალების მუზეუმების სათვის შემოწირვამ და თვით ბავშვების მიერ გაკეთებულ დედოფალთა რიცხვმა. კავკასიის მუზეუმის არსებობის ხანაში ძირითადი უყრადღება გადატანილი იყო საქართველოს გარეშე კუთხებზე (განსაკუთრებით კი დაღესტანზე), მერე და მერე მდგომარეობა შეიცვალა და უკვე იშვიათია ჩვენი ეთნოგრაფიული ექსპედიცია, რომელსაც საქართველოს ამა თუ იმ კუთხებიდან, სხვა მასალებთან ერთად, ხალხური დედოფალებიც არ ჩამოეტანოს. აქვე უნდა აღინიშვნოს, რომ კავკასიის მუზეუმის კოლექციაში დედოფალები უფრო შემოწირულია, ან შეეცვალით გაკეთებულია, ხოლო ახლა, როგორც აღვნიშნეთ, უმთავრესად თვით ბავშვების ნახელავი გვაქვს და ეს უფრო საინტერესოც არის.

რაც შეეხება დედოფალების წარმომავლობას, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, კავკასიის მუზეუმში შემოსული იყო დედოფალები თუშეთიდან, სვანეთიდან, ქრალის სოფ. ატენიდან, კახეთის სოფ. მაშნარიდან და სხვ. საქართველოს დანარჩენი კუთხების „წარმომადგენლები“ კი დიდხანს ელოდნენ მუზეუმის ფონდებში დამკვიდრებას.

დედოფალას კეთების რამდენიმე ხერხი გვაქვს აღრიცხული და ამაზე ქვემოთ, აღწერილობისას უფრო დაწერილებით გვეპნება საუბარი. ახლა კი აღვნიშნავთ, რომ უმთავრესი ხერხი დღესაც იხმარება, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, შეცვლილია თვით ქსოვილი, რომლითაც იმოსებოდა სათამაშო. მაგ., თუ ქველად დედოფალები (განსაკუთრებით მთის კუთხებიდან ჩამოტანილი) შემოილნი იყვნენ ტოლით (შინ ნაქსოვი ხამი შალით), მერე და მერე, ჩატულობაში მომხდარი ყოველივე ცვლილების ანარეკლის სახით, დედოფალას ჩატულობაში გამოყენებული ქსოვილებიც იცვლება, როგორც უკვე ითქვა.

ლენინგრადის საბჭოთა ხალხების ეთნოგრაფიის მუზეუმის კავკასიის განყოფილების ფონდში დაცული ათი ქართული დედოფალი, რომლებიც იქ ჩატანილია: ფშავიდან (სოფ. შუაფხო), ხევსურეთიდან (სოფ. შატილი), სვანეთიდან, სამეგრელოდან და ქართლიდან. იერის მიხედვით უკვე დედოფალა ქველადევ უნდა იყოს მუზეუმში შესული და ძალშე ჰეგას საქართველოს სხელმწიფო მუზეუმის ფონდში დაცულ დედოფალებს, ისე რომ აქ მათ აღწერას აღარ შევუდგებით. გამონაცლისს წარმოადგენს ერთი, ხევსურეთიდან (შატილიდან) ჩატანილი დედოფალა (№ 6364—2), რომელსაც უერად ძალები ჩვეულებისამებრ კი არა აქვს სახეშე რომბისებრ გადაჯვარედინებული, არამედ გულმკერდზე აქვს საგანგებოდ დაქარგული საქმიანდ მოზრდილი რომბი. საინტერესოა აგრეთვე სიმინდის ტაროსაგან გაკეთებული დედოფალი (№ 6702—63), რომელსაც ტანზე ჭრელი აბრეშუმის ნაქერი აქვს შემორტყმული.

დასასრულ, ხაზგასასმელია, რომ ყველა დედოფალის, დაცულს საქართველოს სახელმწიფო მუნიციპის ფონდებში (კერ კიდევ კავკასიის მუნიციპის დროიდან), აქვს ნამდვილად ხალხური იერი. როგორც ვიცით, იგივე როქმის ლენინგრადის სსრკ ჩალხთა ეთნოგრაფიის მუნიციპში დაცული ქართული ტექნიკალების შესახებ.

კატალოგში აღწერილი დედოფალები დალაგებული გვაქვს ქრონოლოგიურად, ე. ი. მუნიციპში მათი შემოსვლის დროის თანმიმდევრობის მიხედვით — სამუნიციპონ კატალოგების საერთო წესის შესაბამისად. ცალკეა გაურკვეველი წარმომავლობის დედოფალები, რომელთაც აღარავითარი ეტიკეტი თუ ცნობა აღარ შერჩენიათ და ამიტომ ჩვენ მათ დროებით რიგითი ნომრები მივეცით. ერთ-ორ შემთხვევაში თანამედროვე მხატვრის მიერ გაკეთებული (ე. ი. არახალხური) დედოფალაც გვაქვს და ეს საგანგებოდაც არის აღნიშნული.

ზოგჯერ დედოფალის წარმომავლობის აღნიშვნისას სოფილი არ გვიწერია. ამის მიზეზი ის არის, რომ დედოფალები მოგროვილია ამა თუ იმ (მაგ., ბარისახოს, მაღაროსკარის) მოსწავლეთაგან. იქ აზრი აღარ ჰქონდა ბავშვის სამშობლი სოფლის მითითებას და აღნიშნულია მხოლოდ „ხელსურეოთი“ ან „ლშავი“.

დედოფალების აღწერილობა

№ 70—08. მოძრავი დედოფალი — „ქანკა მოცეცული ადამიერებისა“¹. დედოფალა მატყლისაა. შებრტყელებული, თეთრნაჭერშემოკრული ხისა. ნაკვები სქემატურადაა დახატული. თავზე ყვითელი თავსუსევი აქვს. აცვია წითელი ატლასის გრძელსახელოებითი ზედატანი და თეთრწინწელებიანი წითელი სატინის ქვედატანი. იმ უკანასკნელის შიგნითაც უფრო მოქლე წითელი შიდა კაბაა, ხოლო შიგნით წითელი, თეთრწინწელებიანი სატინის შარვალი. დედოფალს ასათამაშებლად თავზე ძაფი აქვს გამობმული. დედოფალს სიმაღლეა 24,5 სმ. კავკასიის მუზეუმის დაკვეთით ჩამოტანილია თელო სახოვის მიერ 1908 წელს.

№ 6—10. დედოფალი (ქართლი, გორის ვაზრა, სოფ. ატენი). კარის წარმოადგენს ჯოხი, რომელზედაც დადებულია მატყლი და შემდეგ გადატულია ქსოვილი. თავი ხისგანაა გამოკრილი, ტანთან შეცარებით სახე უფრო ფართო და ბრტყელი და არაპირობილი. თვალ-წარბი ამოქარებული აქვს შეიც ძაფით; ტუჩები, ნიკაპი და ლოყები კი წითლით. აქეთ-იქით ორი კავი აქვს ჩამოშევებული, უკან კი ორი ნაწილი (გამოყენებულია ქალის ნამდვილი თმა). თავზე აღევს თეთრყვავილებიანი ხავერდის ჩიჩტი, რომელზედაც დამაგრებულია არშიაშემოვლებული ლეჩაქი. ტანთ აცვია უბრალო მოყვითალო, დაქარგული ზედატანი, ქვედატანი კი ბოლოში არშიაშემოვლებული ლურჯი აბრე-შემისა აქვს. შიგნიდან აცვია ცისფერი შიდა კაბა, ფეხზე — შავი წინდები. დედოფალს სიმაღლეა 45 სმ. ჩამოტანილია კავკასიის მუზეუმის დირექტორის ა. ნ. კაზნაკოვის მიერ.

№ 50—10/79. დედოფალი „დალ“ (თავისუფალი სკანეთი, სოფ. ლატალი). ტანის მაგივრობას ეწევა ჯოხი, რომელზედაც ნაკრები შემოხვეული. მიტყალგადაკრულ სახეზე ძაფები იძლაგვარადაა ვადაჭიმული, რომ რომბი იქმნება. თავზე ახურავს ლურჯზოლებიანი ქსოვილის ფარფლებიანი ქუდი, ტანთ აცვია წითელი, ყვითელზოლებიანი ქსოვილის კაბა, რომელსაც ბოლოში წითელი არშია დაუყვება. დედოფალს სიმაღლეა 25 სმ. დედოფალი დაზიანებულია. ჩამოტანილია ტარასი გიორგის ძე ნიუარაძის მიერ.

№ 50—10/84. დედოფალი, აკვანში ჩაწერილი (თავისუფალი სკანეთი, სოფ. ლატალი). აკვანი შეკრულია ფიცრებისაგან, რომელთაც კი-

1 სამუშეულო შიფრის პირველი ცაფრით აღინიშნება კოლექციის ნომერი, მეორით — შემოსულ წელი, ხოლო მესამით — ექსპონატის ნომერი.

დეები მოჩუქურთმებული აქტი. შიგ მწოლიარე დედოფალა განისავარა გაცე-
თებული და ზედ ნაჭრები აქცს დაცვებული. ხელების მაგივრობას სწორ დაცუ-
ცილი ქსოვილი; სახედ გამოყენებულია პატარა ლილი, რომელზეც გადაკეთდება და-
მიტკალია გადაკრული და ზედ ჯვარედინად გადაჭიმულია წოლები. აკარები და-
ფები; დედოფალს ტანა აცვა წინ ჩახეული ჩითის კაპა. აკვის სიგრძეა 21 სმ,
დედოფალს სიმაღლე — 13,5 სმ. ჩამოტანილია ტარამი გიორგის ძე ნიკარაძის
მიერ თავისუფალი სვანეთიდან.

№ 50—10/86 დ ე დ ო ფ ა ლ ა, ა კ ვ ა ნ შ ი ჩ ა წ ვ ე ნ ი ლ ი (თავისუფა-
ლი სვანეთი, სოფ. ლატალი). აკვანი ხისა, ფიცრებისაგან შეკრული. თავთან
ფიცარი უფრო დაბალია, ფეხებთან კი მაღალი. აკვის კიდეები ირგვლივ სულ
მოჩუქურთმებულია გარდა ფეხებთან მცოფა ფიცრისა. აკვანში ჩაფენილია
ძვალი, გამოხუნებული ლეიიბი და ზედ წევა მატყლისაგან შეკრილი დედოფა-
ლი, რომელსაც აცვია ყავისფერი (გამოხუნებული) ჩითის კაბა. ხელების გამო-
სახატავად დაცეცილი ქსოვილია გამოყენებული. სახეზე გადაკრული აქცს თეთ-
რი მიტკალი. აკვის სიგრძეა 27,5 სმ, დედოფალს სიმაღლეა 19,5 სმ. ჩამო-
ტანილია ტარასი გიორგის ძე ნიკარაძის მიერ.

№ 109—13/32. დ ე დ ო ფ ა ლ ა (თავისუფალი ფშაველები). ტანს წარმოად-
გენს წერილი ჭოხი, რომელზედაც რამდენიმე ქვედა კაბა ერთომეორებზე ჩა-
მოცმული. ხელების მაგივრობას ეწევა გარდიგარდმო დამაგრებული ჭოხი.
ა...ა აატყლითა ამოქსებული, სახეზე თეთრი მიტკალია გადაკრული. თავზე
მოხეული აქცს წყვეტილხახებიანი ქსოვილის თავშალი. ტანთ აცვია შინდის-
ფერი აბრეშუმის კაბა, რომელზედაც წელზევით შემოხვეულია თეთრი აბრე-
შუმის ნაჭრი, უკან განასკველი. კაბის ქვეშ ჯერ კრელი ქვედატანი აცვია, მის
ქვეშ კი წითელი, თეთრი წყვეტილი ხახებით შემკველი ქსოვილისა. დედოფა-
ლს სიმაღლეა 23 სმ. შემოწირულია ე. ლ. ჭანდიერის მიერ.

№ 148—13/101. დ ე დ ო ფ ა ლ ა „ძ ი ძ ი ძ ა ლ ა“ (გუდამაყარი). დედო-
ფალია გამოხატავს „ფეხმძიმე ქალს“. ჭოხზე ისეთნაირადაა დახევეული ტოლისა
და შალის ნაჭრები, რომ ორსული ქალის ტანის შაბაბეჭდილება იქმნება. უკელა-
ზი უფრო სქლად ნაჭრები მუცელზეა ამჭყობილი. ხელები არა აქცს. სახეზე
დაცეკრული აქცს თეთრი მიტკალი. თავზე წითელი ჩიხტი ადგევს, ზემოდან კი
ზოლებიანი თავშალი აქცს შემოხვეული. ტანთ აცვია გამოხუნებული მოვაზ-
დისფრო კაბა, წინ ჩამოფარებული აქცს გრძელი ვარდისფერი, ზოლებიანი წინ-
საფარი, რომელსაც ბოლოში არშია აქცს მიეკრებული. უკან ორი ნაწნავი აქცს
ჩამოშვებული, რისთვისაც ქალის ნამდვილი თმა გამოყენებული.

დედოფალს ასათამაშებლად თავზე გამობმული აქცს შავი ძალი, რომე-
ლიც ქანძისთვითა დამაგრებული. დედოფალს სიმაღლეა 23 სმ. შემოწირუ-
ლია შიო კლადიმერის ძე კაიშაურის მიერ.

№ 29—14/17. დ ე დ ო ფ ა ლ ა „გ უ გ ა“ (თუშეთი). ტანს წარმოადგენს
ჭოხი, რომელიც ქვემოთ შიშველია; ხელები გაცეთებულია ნაჭრებისაგან. სახე
წარმოდგენილია ჭოხზე დამაგრებული ბრტყელი ლილით, რომელზედაც თეთ-
რი ნაჭერია გადაკრული, ხოლო ეს უკანასკნელი ალმაცერ-ჯვარედინი შავი ძა-
ფებით და პორიზონტული შინდისფერი ძაფებით არის მოქარგული. აქეთ-იქნით
ჩამოშვებულია კავები — ქალის ნამდვილი თმა. თავზე ახურავს შავი სატინის

„კუტერა“, რომელზედაც ქინძისთვით შინაგრებულია შავი ქსოვილისაც გვ. ლ. ჭანდიერის მიერ. საყელოზე შემოვლებული აქვს და წელამდე ჩამოლის თოთო რიგდა შესის წერილი ცისფერი, თეთრი და შავი მშივები. საგულეზე ჩამოცვეტის შავი მაულის გრძელსახელოებიანი ზედატანი, რომელსაც ნაპირებში ჩამოცვეტის რებული აქვს ოქრომკედას გრეხილი. წელს ქვევით აცვია ლურჯი ნაოჭაურილი ქვედატანი, ხოლო წინ ჰკიდია შავი დიდარდებიანი სატინის წინსაფარი. ლურჯი ქვედატანის ქვეშ აცვია სატინის ტრელი შიდა კაბა. დედოფალას სიმაღლეა 26 სმ. შემოწირულია ე. ლ. ჭანდიერის მიერ.

№ 29—14/18. დედოფალი „გუგა“ (თუშეთი). ტანს წარმოადგენს შიშველი ჭობი, ხელები კი მატყლისა აქვს. სახე ჭობზე დაკრული ბრტყელი, ოდნავ ამოზნექილი ღილასა და ზედ მჭიდროდ ვადაკრულია თეთრი ქსოვილი, რომელზედაც სამაგ-ჯვარედინად, შავი ზა წითელი ძაფებით მოქარგულია ნაკვეთების სქემა. თმა ოთხ ნაწნავად აყრია მხრებზე და მკერდზე (ნამდვილი ქერა თმა გამოყენებული). თავზე ახურავს შავი სატინის მინდილი. ტანთ აცვია მიტკლის პერანგი, ხოლო მასზე „ფარაგა“, რომელსაც შემოვლებული აქვს ძალზე წვერილი მძივების რიგი. ფარაგის საგულე შავი ხავერდისაა და შემკულია ფერადი მძივებით. ლურჯ ქვედატანს ზემოდან აფარია ვარდებიანი წინსაფარი. ქვედატანს შიგნით აცვია მოკლე, შავი, ყვავილებიანი კაბა. ეს დედოფალა, ნაწნავებს მიხედვით, გამოიხატავს გასათხოვარ თუშის ქალს. დედოფალას სიმაღლეა 30 სმ. შემოწირულია ე. ლ. ჭანდიერის მიერ.

№ 29—14/19. დედოფალი „გუგა“ (თუშეთი). ტანს წარმოადგენს ჭობი, რომელზედაც ერთიმეორებზე წამოცმულია რამდენიმე ქვედატანი. ნაკრისაგან გაერთებული ხელები კაბის გვერდებზე აქვს მიკერდებული. სახეზე მჭიდროდაა გადაჭიმული ექვსმაგ-ჯვარედინი წყვილ-წყვილი თეთრი ძაფები. აქეთით გადმოშვებული აქვს გაშლილი თმები, უკან კი ჩამოშვებული ორა ნაწნავი. თავზე ადევს „კუჭურა“, რომელზედაც მიმარტებულია შავი აბრეშუმის მანდილი. ტანთ აცვია ზოლებიანი პერანგი. „ფარაგას“ საგულეზე დაკრებული აქვს პრიალა თუნექის ფარფიტები — ღილები, მათ შიგნით — მძივები, ხოლო აქეთით ჩაერებულია ძეწვი. შიგნით აცვია ქვედა კაბა, მასზე დატარებულია საჩრიულდადებული სახეებიანი წინსაფარი, რომელსაც ბოლოში მაქმანის აშია აქვს მიკერდებული. დედოფალას შიგნით შავი ქიშმირის შიდა კაბაც აცვია, ზემოდან კი — შინდისფერი ქიშმირისა, რომელსაც ისაფერი ხავერდის ზოლი აქვს შემოვლებული. წელზე ისაფერი სარტყელი არტყავი. თმის წყობის მიხედვით, დედოფალა გათხოვილ ქალს წარმოადგენს. დედოფალას სიმაღლეა 25 სმ. შემოწირულია ე. ლ. ჭანდიერის მიერ.

№ 29—14/20. დედოფალი „ვაჟი“ (თუშეთი). ტანს წარმოადგენს მსხვილი ორქაბა ჭობი, რომელიც მატყლითა შევსებული, ოღონდ ფეხები გაშიშვლებული აქვს. ხელები გაერთებულია ქსოვილისაგან. სახე ღილითინის ფულზე გადაკრული თეთრი მიტკლისაა, რომელიც სამაგ-ჯვარედინი შავ-წითელი ძაფებით არის დაქარგული. თავზე ახურავს თუშური ნაბდის ქუდი. აცვია თეთრი წითელხანებიანი ჩითის მოკლე პერანგი, გარედან — ნაცრისფერი ქეჩისებრი ქსოვილის ყელმარალი უსახელო ჭუბა, მის გარედან — ღია ნაცრისფერი ხამი ქსოვილის ახალები, ხოლო სელ გარედან — შავი სქელი ნაბდის ჩოხა, რომელსაც იმავე ქსოვილის ფართო სარტყელი აგრავს წელზე; წვივებზე — შავ-

თეთრი ტოლის შარვალი. დედოფალას სიმაღლეა 28,5 სმ. შემოწირულია ვ. ლ.
ჯანდიერის მიერ.



№ 67—16/1. დ ე დ ო ფ ა ლ ა (ქართლი, გორის მაზრა, ჭავჭავაძის ტაძე
წარმოადგენს ჭოხი, რომელზედაც დაბეჭულია ქსოვილის ნაკრები; სახეზე გა-
დაკრულია თეთრი ნაქერი, რომელიც ამოქარგულია კვარედინად, შავი ძაფითა
და ჰორიზონტალურად მისა გადამკეთი წითელი ძაფით; თავზე ახურავს პატა-
რა შავი ჩიხტი, რომელსაც თეთრი აბრეშუმის თავსაკრავი აფარის, ხოლო ამის
ქვეშ ჩამოშევბულია ღიღი უარშიო ლეჩაქი. აცვია წითელი აბრეშუმის ზედა-
ტანი, რომელსაც შემოვლებულია აქვს თეთრი მაქმანის არშია, ისეთივე, რო-
გორიც სახელოებსა და საყელოს. ქვედატანიც იმავე წითელი ნაქრისა. წელზე
არტყია თეთრი აბრეშუმის, ქართული კაბისათვის აცილებელი სარტყელი.
დედოფალას სიმაღლეა 24 სმ. შემოწირულია ზეზემანის მიერ.

№ 67—16/2. დ ე დ ო ფ ა ლ ა (ქართლი, გორის მაზრა, სოფ. ატენი). ტანი
ჭოხისაა, ხელები კი ქსოვილისაგან გაეკეთებული. სახე ლითონის ფულისაა, რო
მელზედაც გადაკრულია თეთრი მიტკალი, ხოლო ამ უკანასკნელზე შავი ფანჯ-
რითა დაბატული სახის ნაკეთები. თავზე ადგეს იასამნისფერი ჩიხტი, თმა ერთ
გრძელ ნაწინეადა უკან ჩაშევბული (ნამდევილი ქერა თმი). მოვარდისფერო თავ-
საკრავის ქვეშ უარშიო ლეჩაქი აქვს ჩამოშენილი. გულისპირი, სარტყელი და
ხელსახოცი, რომელიც მარჯვნი ხელში უჭირავს, ჩიხტის კ. ი. იასამნის ფერია.
აცვია ცისფერი ნატინის გრძელსახელოებიანი, „უკილეტისებრი“ ზედატანი და
მუქი ლერწი სატინის ქვედატანი, რომელსაც ბოლოში განიერი არშია აქვს
მოკერებული. სარტყლის ბოლოები სულ სხვა ქსოვილისაა. დედოფალას სი-
მაღლეა 21 სმ. შემოწირულია ზეზემანის მიერ.

№ 67—16/3. დ ე დ ო ფ ა ლ ა — ვ ა ჟ ი (ქართლი, გორის მაზრა, სოფ.
ატენი). ტანს წარმოადგენს ორკაბა ჭოხი, რომელზედაც ქსოვილის ნაკრებია
დაბეჭული. მკლავები ხერხისგანაა გაეკეთებული. სახის გამომხატველ ლილზე
გადაკრულ თეთრ ქსოვილზე ირიბვარედინად არს გადაქიმული შავი ძაფები,
ხოლო მათ ზემოთ, ჰორიზონტალურად — წითელი ძაფი. თავზე ახურავს შავი აბ-
